სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/167

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის „ალმასებისა და კომპოზიციური მასალების“ სამეცნიერო ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების საბჭოების 2024 წლის 11 და 21 ოქტომბრის ოქმების (№10 , №9), ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. რეორგანიზებული იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის „ალმასებისა და კომპოზიციური მასალების“ სამეცნიერო ცენტრი და ჩამოყალიბდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.
2. მოწონებული იქნეს აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის „ალმასებისა და კომპოზიციური მასალების“ სამეცნიერო ცენტრის დებულება და ცენტრის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების საშტატო განრიგებსა და დებულებებში.

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**